

ეროვნული  
გილიოთისა

# აზერბაიჯანი

1883-1886.

— «მწერლი» დამატებით გამოდის თვეში ხუთვერ. უკველი თვის ათს, ოცს და ოც და ათ რიცხვებში. —

პელი დრო დაგვიღება და რა ზოგიერ უდია  
ვისაროთ ხალხი ზეორის ასამაღლებლად.

სტატია მესამე.

რომ ჩვენს ხალხში სარწმუნოება დაეცა, ეს იმისაგანაც მტკიცდება, რომ ჩვენები დღეს სრულებით არ დაიარებიან იმ წმიდა აღვილებში, სადაც განისცენებენ ზოგიერთი ჩვენი წმიდანების ნაწილი. საღმრთო ნივთებს ჯეროვან ყურადღებას და პატივსა არა სცემენ. არამც თუ მთელს შუთაისის გუბერნაციი, არამც თეთი შუთაისის მაზრაშიაც ბევრი იქნება ისეთი, რომელიც ერთხელაც არ წაულიყოს დავით და პონსტანტინეს უხრწელ ნაწილების თაყვანის საცემლად, რომელნიც შუთაისიდგან ექვს-შვიდ ვერსტჩეა. ამის შესახებ აგრძივე გულ-გრილობა არსებობს საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. რუსეთში კი სულ ამის წინააღმდეგ ხედავ კაცი. იქაურს მონაცერებში შეუწყვეტელი მისვლა-მოსვლა არის მღლოვალებისა, რომელებიც მოდიან წმიდანების უხრწელ გვამთა თაყვანის საცემლად. უმეტესი ამ მღლოვალებისა მოდიან ძლიერ შორეული აღილებიდამ. ჩვენში კი ამავე მიზნის თვის მართველს კაცს ეზარება გაიაროს ფეხით ანუ ცენტით 6—12 ვერსი.

დაეცა ჩვენში სარწმუნოება და მას თან მოჰყვენ ცუდი შედგები. ავილოთ, მაგალითებ, ცრუ მოწმობა თავისი დამდგავლი შედეგებით თვით საქართველოს მცხოვრებთათვის. მს ცრუ მოწმობა ძლიერ გაერცელდა ამ ბოლოს დროს ჩვენში და ჩვენის

აზრით ეს პირდაპირი შედევია ურწმუნოებისა, რომელმაც ფეხს მოიდგა უბრალო და გაუნათლებელ ხალხში. არაფერ აღთქმას, არაფერ ნივთიერ სარგებლობას და ნათესაობას არ შეეძლო ტყუილი ეთმევინებინა ძევლი მართველისათვის ხატის წინ; ხატის წინაშე სიცრუის თქმა ნიშავდა, მისი აზრით, დეთის წინაშე სიცრუის თქმას, რომლითაც ის თავის თავზე და მთელ სახლობაზე მოიწოდებდა ლეთის რისხეას თუმცა ვინმე მაშინ სიცრუეს აჩვენებდა ხატის წინაშე, მას მუდამ აწუხებდა ეს ცოდვა და უწყლავდა მას სულსა და ხორცს.

ჩვენი ადვოკატები ხელოვნურად სარგებლობენ ამისთანა ცრუ მოწმებით და მათ ნამდვილ სიცრუეს ალაპარაკებენ იქ, სადაც ეს მათთვის, ადვოკატებისთვის, საჭირო და სასარგებლო არის, როდესაც მათ უნდათ დაამტკიცონ, რომ თეთრი შავია და შავი თეთრი. და თუმც მართლ-მსაჯულებამ რამე ზომა არ იხმარა ცრუ მოწმების წინააღმდეგ, მაშინ ძრელი იქნება კაცის პიროვნების დაცვა. საზოგადოებაში პატიოსან მცხოვრებთა ადვილს დაიკავებენ ავტოკები და ციხეები გაიცემიან ისეთი პირებით, რომელნიც არასფერში დამნაშავენი არ არიან. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ამ ზომამდე საჭმე არ მივა.

წინა ირ სტატიაში ჩვენ ვუწევენ მკიოხველს სარწმუნოებრივ-ზნებითი ნაკლულევანებანი ჩვენი ხალხისა და საზოგადოებისა. ჩვენგან ნაჩვენები ნაკლულევანებანი ითხოვენ სხვა-და-სხვა ლონისძიებას, რომ ეს ნაკლულევანებანი მოსპობილ იქნენ ხალხში. ამ ნაკლულევანებათა მოსასპობად ჩენ, სხვათ-შორის, უმთავრეს სახსრად მიგდაჩნდა ჩვენი ხალხის განათლება, ჩვენს სკოლებში სარწმუნოებრივ-ზნებითი ელე-

მენტების გაძლიერება და ჩვენი სამღვდელოებისაგან მათი პირ-და-პირი საღმრთო მოვალეობის ღარსეულად შესრულება.

თვით გაუნათლებელი ხალხიც კი გრძნობს განათლების საჭიროებას, მაგრამ მას სხვის შეუწეველად არ ძალ-უძს ეს თავის სულის კანონიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ამიტომ საჭირო და სასარგებლო არის, რომ ხალხში მოიფინოს სახალხო სკოლები. ამასთან საჭირო და აუცილებელია, რომ ამ სკოლებში სწავლის საქმე კეთილგზაზე იქმნეს დაყენებელი და მასთან საჭიროა, რომ ამ სკოლებს ხალხზე ჰქონდეთ ზნეობრივი გავლენა.

გაუნათლებელმა ხალმა, რომელიც მოლად ჩაფლულია ამაოდ მორწმუნეობაში, რომელმაც, ხალხმ, არ იცის, თუ რახდება მის გარეშემო და ამიტომ დაჩაგრულია, რასაკირველია უნდა ექცეოს ამის სახსარი განათლებაში. მაგრამ ხალხის სინელისაგან გამოყვანა ისე ადვილი არ არის, როგორც ზოგი ერთ ჰკონიათ. ხალხის განათლების საქმე მეტად ძნელი და რთული საქმეა. ძალიან ძნელია იმ ამონდ-მორწმუნეობათა და მავნებელ ჩვეულებათა მოსპობა, რომელთ მტკიცედ გაუდგამსთ ხალხში ფესი და რომელთა მოსპობა არის სწავლი განათლების საქმე მხოლოდ ერთ განათლებას შეუძლია, რომ ხალხში აღმრას მაღალი, ხორცულს ხმელი ინტერესების და სულის განათლებისადმი მიღწეულება; მხოლოდ მაშინ ეხლანდელი ხალხის ლტოლვა და მეცადინობა ყველ დღიურ ცხოვრებაზე, დაბალ და კაცის უკადრის და ცხოვრების ქონებრიც ინტერესებზე უკუ დგებიან. მათი სიტყვით ერთ მხოლოდ სწავლა განათლებას შეუძლია გააღვიძოს ხალხის გულში გონებითი და ზნეობითი ძალანი და მისცემით კეშმარიტი მიმართულება. მხოლოდ სწავლა განათლებას შეუძლია მოლად გადაკეთოს და გადახალისოს კაცის ბუნება. მაგრამ ამ მოთხოვნილებას განაკმაყოფილებენ ჩვენი სკოლები დღეს? ამის თქმა ძნელია. მართალია, ზოგიერთ ჩვენს სკოლებში სწავლის საქმე კარგად მიდის, მაგრამ რაც შეეხება სარწმუნოებრივ-ზნეობითს სწავლას, ეს ძალიან ცუდათ, თუმც უველა სკოლების პროგრამმაში საღმრთო სჯულს პირველი ადგილი უჭერია. სკოლა თავის დღეში ვერ მიაღწევს თავის დიდ მიზანს, თუ ის თავდა პირველად იმას არ მეცადინობს, რომ მოწაფების ზნეობაზე და ჩვეულებაზე იქონიოს ნაყოფიერი ზედ გავლენა. სეთი ზედ გავლენაუნდა ექმნეს ყოველი

საგნის სწავლებას, მაგრამ ეს განსაკურთხებით პირ-და-პირი მოვალეობა არის საღმრთო სჯულის მს სწავლებლისა. ამ საგნის სწავლება მიტომაც უფრო ძნელია, ვინემ სხვა რომელიმე საგნისა, სხვა საგნების სწავლებას უმეტესად აქეს სახე დდ, რომ მოსწავლეთა გონება გახსნას და გამდიდროს სხვა-და-სხვა ცნობებით; ერთი სიტყვით აღზარდოს მოსწავლე უმეტესად გონებით. ცხადია, რომ ზნეობაზე და სარწმუნოებაზე სწავლა არ გადიცება მოსწავლეზე იმ სახით, რა სახითაც ისწავლება არითმეტიყა, გეოგრაფია, ძელი და ახალი ენები და სხვა ამათ მზგავსნი საგნები. შეიძლება კაცია ტერიტიკულად შეიძინოს სწავლა სარწმუნოებაზე და ზნეობაზე, მაგრამ აბავე დროს მას არ შეუძლია ამ გეარი სწავლა განახორციელას თავის თავში. ჰეშარიტი სარწმუნოება კაცში მტკიცება მაშინ, როცა ის ზნეობითად მაღლა სდგას და ყოველივე ღვთის მცნების წინააღმდეგს ერიდება. მხოლოდ მაშინ შევიძლია ესთქვათ, რომ კაცში არის კეთილი სარწმუნოება. თორებ სარწმუნოების გარეარად შეოვისება არ შეიძლება. სარწმუნოება კაცს ხორცია და სულში უნდა ჰქონდეს გამჯდარი და მხოლოდ მაშინ დავინახავთ სარწმუნოების კეთილ ნაყოფს. ტყუილად კი არ არის სამღრთო წერილ-ში ნათქებმი: ხილთა მათგან იცნობთ მათ. რომ ნამდვილ კეთილ მორწმუნე იყო, ამისთვის საკმაო არ არის, იცოდე კაცმა საღმრთო წიგნების შინაარსი, ზნეობაზე დარიგებანი და მოძღვრებანი და კეთილის ბოროტისაგან გარჩევა. ზანა ჩვენს ღრმში ცოტანი არიან ისეთი პირნი, რომელთაც მშვენიერად შეუძლიათ გარდმოგვცეს მოელი სწავლა ქრისტის სარწმუნოებაზე და ზნეობაზე, მაგრამ თეოთონ თავისი ცხოვრებით და მოქმედებით ძალიან ცუდი ქრისტიანენი არიან. მეორეს შერით ბერები ყოფილან და დღესეც არიან ისეთი პირნი, რომელთაც ძალიან მცირე სწავლა ჰქონებით და აქესთ მიღებული სარწმუნოებაზე და ზნეობაზე, მაგრამ მათი ცხოვრება სამაგალითო იყო და დღესეც არის სხვებისთვის. ზანა ამ გვარ პირებს არ ეკუთხოვდენ წმინდა მოციქულნი, ეს უბრალო მეთევზენი, გარდა პავლე მოციქულისა? ამიტომ, თუ გვინდა, რომ კაცი შეიძნეს კაი ზნისა და კეთილ მორწმუნე, საკით არ არის მისთვის სარწმუნოების ღოვმატების მარტო ტერიტიკულად შესწავლა, რაღაც ამისთანა შესწავლა უფრო მოქმედებს გონებაზე, ვინემ გულზე და აქ უფრო საჭიროა საჭიროა, რომ სწავლა მოქმედებდეს კაცის გულზე. ამიტომ, თუ გვინდა, რომ ზნეობით

ალექსაროვთ კაცი, საჭიროა სიტყვასთან ერთად კეთილი მაგალითებიც ფუჩქენოთ მას. თუ სიტყვას მაგალითთ არ შეესაბამება, მაშინ სიტყვა უმნიშვნელოა. სარწმუნოების რა ზნეობის მასწავლებელმა პირეელად თვითონ უნდა აასრულოს ის, რასაც ასწავლის სხვას. თუმც მოსწავლე ხელავს ყოველ დღეს ზნეობის ცხოველ მაგალითებს ყველა იმ პირებში, რომელნიც მას გარშემო ახვევიან და ყოველთვის კეთილ მორწმუნე და ზნეობითი პირების ჩედ გავლენაში არის, მაშინ მოსწავლეში, უფროელია, ალიძრება სარწმუნოებაც და ზნეობაც. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენს სკოლებში ამვარი ზნეობითი გავლენა არ არსებობს.

\* \* \*

**10 უცხოურენობის სიტყვები**

10 უცხოურენობის სიტყვები აკურთხეს ახალი სკოლის შენობა. სკოლისთვის იყიდეს ქრთი კაზარმა, რომელიც აქ უქმად იდგა. როცა ცაიშელები შეუდგნენ სკოლისთვის სახლის შოენას, მთავრობისგან გამავიდა ბრძანება, რომ ეს კაზარმა გაყიდულიყო. მს ამბავი ბერეს გაეხარდა და ურჩევდნენ აქაურებს ამ კაზარმის ყიდვას, მაგრამ ცაიშელები ვერ ბედავდნენ ამისთანა ძეირფასიანი შენობის ყიდვას. ადგილობითმა ბლალიჩინმა დეკანობმა მ. მეურარეიამ სხვა კეთილ-პირების შემწეობით შეაგონა ხალხი, რომ ეს კაზარმა ეყიდათ. ხალხმა დაუჯერა თავის სულიერ მამას და იყიდა ეს შენობა 1325 შანეთად. მართალია, სიტყვებისთვის 1325 მანეთი დიდი ფულია, მაგრამ შენობაც კარგია: შენობა შესდგება ექვსი ოთახისაგან. მთახები დიდები არიან. ადგილიც, რომელზედაც ეს შენობა არის, კარგია თავისი მდებარეობითაც და ჰაერითაც.

სკოლის შენობის კურთხევა შეასრულა ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტმა მ. სიმეონმა. პარაკ-

ლისზე დაესწრონენ: უფანათლებულების პრინციპისა სალომე, სამეცნიელოს მთავრის ასული, მათი მეულე პრინცი მაურატა, ზუგდიდის მაზრის უფროსი ბ. ჯაყელი, მუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინცეფორი ბ. ქოჩაშვილი, ადგილობითი თავად-აზნაური და მთელი ცაიშის კლებობა. როგორც პარაკლისი გათავდა, დეკანობმა მეუნარგიამ იქ დამსწრე პირთ მიმართა მეგრულს ენაზე შემდეგი სიტყვით: «საყვარელნო შეილნო! იქენ ყველანი ცაიშელნი ხართ და საჭიროა იკვლეთ, თუ რა ნაირი იყო წარსული თქვენის სიტყლის ცაიშის და რა მდგომარეობაში არის ის დღეს. უწინდელ დროში ცაიში იყო საეპარქიო კათედრა. ცაიშელი მიტროპოლიტებისაგან ერცეულდებოდა და ითხესებოდა ლეთის სიტყვა, სჯული და სარწმუნოება მთელს ნახევარს ღლივში და სამურზაყანოში. ამ ღროვებში ცაიში ჰევალდა სწავლა განათლებით, აქ იყო სასწავლებელი, საღაც იღებდნენ სწავლა-განათლებას აქაური თავად-აზნაური, სამღვდელონი და გლეხობა; დღესაც ბლობად არიან სასულიერო პირნი, რომელთაც მიუღიათ განათლება ცაიშის სობორობა. დღეს შემდინარეობს სამოცდა თრი წელი მას უკან, რაც უკანასკნელი მიტროპოლიტი ზრი გოლ ცაიშელი გარდა ცუალა და ამ ღროვიდებან ჩამოყენება ცაიშის სობორობა, ჯერ კათედრა გაუქმდა და ბოლოს სწავლაც მოისპო იმაში. ამ გვარად ძველად დიდებული სწავლა-განათლებით ჩვენი სიტყვით ცაიში დადუმდა და მიეცა უფრულ ცხოველებას და ლრმა ძილს. ჟემარიტად, დიდი სამწუხარო იყო ეს მისი მამულის შეილთათვის! მაგრამ უცვეშია ღმერთი და ამა უკანასკნელ ღროვებში ცაიშმა იწყო ცოტ-ცოტად განახლება. დღეს, ამ ჩემ მოხუცებულებებაში, მოვეცარი ერთ კლასიანი სკოლის დაახსებას, რომელიც დღეს იკურთხა და იმედი მაქეს, რომ ეს შხოლოდ მინუში იქმნება ცაიშის შემდევი დიდებისა!

სწავლა-განათლების საჭიროებაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. დღეს, ღვთის მადლით, ყველანი გრძნობენ, თუ რასაჭიროა სწავლა. მე მხოლოდ გეტვით, რომელსწავლელმა კაცმა არ იცის სჯული და სარწმუნოება, რომელნიც არიან დედა პატიოსნებისა და კეთილ-შრომისა, აგრეთვე უწავლელი კაცი ვერ ცნობილობს თავის თავისა, მან არ იცის, თუ რისთვინ მოსულა იგი ამ ქვეყნად და რაშია მისი დანიშნულება. სწავლა-

გაუნათლებს კაცს გონებას და აზრს. თქვენში მე დღეს ვხედავ ერთ კაი საჩუქრო მაგალითს. თუმც ჭელა თქვენთაგანს არა ჰავა შეილები, მაგრამ დღეს ნაკურთხი სკოლის ხარჯს თქვენ თანასწორად იხდით. დას, ეს კეთილი და ღვთის სასიამოვნო საქმეა. ბა რა ჰქნან ზოგიერთმა ლარიძმა პირებმა, რომელთაც არ შეუძლიათ დაუხმარებლად, საკუთარის საშვალებით გამოზარდონ თავიანთი შეილები. მერწმუნეთ, ამ ნაირი ერთმანეთის დახმარება ღმერთს საც ესიამოვნება და სკოლასაც რიგიანად აღასრულებინებს თავის ღანიშნულებას.

უცხადებ ბოლოს თქვენ მაგიერ გულითად მადლობას იმ პატიოსან და ღვთის მოყვარე პირთა, რომელიც დაგვეხმარებ სკოლის საქმეში და დღეს დაგვესწრებ აქ სკოლის კურთხევაზედ. ღმერთსა ესთხოვ, რომ დღეს ნაკურთხი სკოლა მუდამ იდგეს აქ და მალე ხანში გადაკეთებულიყოს ის ორ-კლასიან სასწავლებლად.

დეკანზის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა შუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორმა გ. შორქაშვილმა, რომელმაც უგულითადესი მადლობა შესწირა უგანათლებულებ პრინცესა სალომეს, რომელიც მხურევალე მონაწილეობას იღებს სწავლა-განათლების საქმეში მთელს ზუგდიდის მაზრაში. პრინცესამ თავის მხრით განუცხადა სკოლის დამა-არსებელთ თანაგრძნობა და შემწეობა ამ კეთილ საქმეში და ერთ დროებითად შესწირა სკოლის სასარგებლოდ ასი მანეთი. ჯრუჭის არქიმადრიომა მ. სიმეონმა შესწირა სკოლის სასარგებლოდ ერთი თუმანი. აგრეთვე სკოლას აღუთქვეს შემწეობა სხვა აქ დამწრე პირებმაც.

ბოლოს დეკანზმა მ. მეუნარგიამ პატივუ-მული სტუმრები მიიწერია თავის სახლში და ღირსეულად სცა მათ პატივი.

### 3. ჯგუშია.

არა სასიამოვნო მოვლენა.

ჩვენს საქართველოს ხალხში დარჩომილია ბევრ, ნაირი ჩვეულებანი კერათმსახურების დროებიდან. ამ ჩვეულებებს ხალხი ადვილად ვერ სტოვებს, რად-

განაც ეს ჩვეულებანი ძალიან არიან ჩანერგულნი მათში. სასაკეირველია, პირველად ამ ქრის-ტიონიბითი წესების გაერცელებას მოვალეობაა ჩვენი მღვდლებისა, ამათივე მოვალეობაა, რომ ხალხს ჩავონონ და მოაშ იყვანონ მათ ეს ჩვეულებები. დღეს ჩვენ ვხედავთ ბევრს მღვდლებს, რომელნიც კეთილ-სინიდისიანათ ასრულებენ ამ მოვალეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვხედავთ აგრეთვე ისე მღვდლებსაც, რომელნიც მრევლის სიამოვნებისათვის ანუ თავიანთ სარგებლობისათვის სტოებენ უყურადლებოდ ამ მოვალეობას. ამ მღვდლებს არამც თუ თვეითონ არ მოაქვთ სარგებლობა, არამედ ხალხს ეჭვში აგდებენ იმ მღვდლის მოქმედების შესახებ, რომელიც, მღვდელი, ცდილობს ხალხი გადაჩვინოს არა მრისტიანულ ჩვეულებათ.

ხალხში, სხვათა შორის, არის შემდეგი ჩვეულება: გვალვიან წელიწადს რომელიმე საზოგადოება გადა-ახდევინებს მღვდლს ეკკლესიაში «პარაკლისს» უწიმრობისათვის და შემდეგ წავა მინდორზედ, სა-დაც გდა ერთი ღიდი უშველებელი ქვა, რომელიც ამ ხალხმა უნდა გადააბრუნოს. ამ წესს ბევრს აღ-გილას სხვა ნაირად ასრულებენ:

სომხეთში, მაგალითებრ, ს. ქოდის მახლობელ სოფლებში ხალხი რომ გაეს მინდორზედ, თან უნდა უთუოთ წაიწყვანოს ვინმე გულდამაანთ გვარისა, რომელიც სცხოვრობენ სოფ. მარაბლას. უკეთუ ამ გვარისა არავინ იქნება ამ ხალხში, მათის აზრით, ქვის ვერც გადააბრუნება და ვერც შარავალის ვერ მოიყვანენ წვიმას. ამ ქვას იქ უძახია «ტულდამაანთ ქვას». ზემო შართლში, უბონებს ხეობაში ქვის გადასაბრუნებლად წაელენ მხოლოდ დედა-კაცნი და აქ ამათ უნდა დაასეველონ ეს ქვა . . . ეს ქვა გდია სოფელ ნაბახტევთან. მევმო მართლში ლეხურის ხეობაში იციან ქვის გადასაბრუნებლად წავლენ როგორც მამა კაცნი აგრეთვე დედა-კაცნი და თან უნდა წაიყვანონ თავიანთი მღვდელი. აქ ესენი ამ ქვას წაუსმენ ან ერბოს ან კარაქს. მს ქვა გდია, ტირიოთონის მინდორზედ და «ერბოს ქვას» უწოდებენ! შველანი დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ, თუ ქვის გადააბრუნების შემდეგ მოეიდა წვიმა, ეს არ არის ქვის ძალა. მს ჩვეულება მღვდლებმა არ უნდა დასტოვონ უყურადლებოდ; მათ უნდა გააგეხადნათ ხალხს ეს.

1885 წელსა ზაფხული გვალეიანი იყო. სოფ. შევმო-ჭილის და სამთავისის საზოგადოება ძალზედ შეწუხდნენ. ამათ მიმართეს მღვდლებს გადაეხადნათ

ჰარევლისი და აქსოულებინათ ამა-პაპური ჩევულება. მრთს დღეს შეიცარნენ სამი მღვდელი (ორი შევემო ჭალისა და ერთიც სმითავისისა) და გაწინ მინდონშიდ, სოფელს რომ გასტილდნენ, აქ შეასრულეს ლოცვები და ისურვეს ქვასთან მისცელა. მღვდელმა ს—ძემ უარი უთხრა წაჲყოლოდა მათ და კიდევაც აუხსნა, რომ ეს ჩევულება (ქვის გადაპარუნება) არის დარჩემილი კერპთ-მსახურების დროგან და აქ, საჭრისტიანოში ადგილი ალარა აქვსო. მს უარი არ მოწონა ხალხს და ამიტომ შევემო-ჭალის მამასახლისმა უ. მ. პ—შეიძლება გალანძღა მღვდელი უშვერი სიტყვებით და ბოლოს შემოსილ მღვდელი უთხრა, რომ მის ლოცვას და წირვას არა აქვს მადლიო. მღვდელმა ამაზე დაისწრო მოწმები და გამობრუნდა სოფლისკენ. ხალხიც წამოვიდა, მაგრამ მეორე დღეს ისევ შეგროვდა, წაიყვანა ორი მღვდელი ვ. პ—ძე და მ. მ—ძე და წაუსვეს ქვას კარაჭი. შველა დამერწმუნება, რომ მღვ. ს—ძე ამ შემთხვევაში კარგად მოიქცა, მაგრამ რა უნდა ჰქნას ერთმა მღვდელმა, როდესაც იმის მეზობელი მღვდელი თვით აძლევს მაგალითს უპრალო ხალხს. ნუ თუ მ.პ. პარ—ძეს და მცხ—ძეს არ შეეძლოთ უარი ეთქოთ ხალხისთვის და არ წასულიყვნენ ქვასთან? მამა ბრიგოლმა უჩივლა მამასახლისს სამასაჯულოში შეურაცხულფისათვის სამსახურის დროს, მაგრამ მამასახლისი, გალაცა მიზეზების გამო, იქმნა გამართებული შასჯულისაგან და ამიტომ დღეს ამ უმჩიშვნელო ჩევულებამ ამ ხეობაშიდ უფრო მტკიცედ გადასაცვი.

დიმიტრი.

### ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

მეცნიერების მეცნიერებული საუკუნის დასაწყისამდე ეკროპაში მართველების ხანება ათასში ერთმა ორიენტალისტია თუ იციდა, თორემ სხვებ არა. 1830 წლის შემდეგ კი ჩნდებიან ფერობაში ისეთი პირები, რომელთაც მოისურვეს საჭართველოს ხალხის ისტორიის შესწავლა და გამოკვლევა. არმენისტი სენმარტინის და ორიენტალისტი დიუბოს შემდეგ საჭართველო გახდა საურადლებო საგნად. განსვენებული ფრანცუზი მარი-ბროსე ლილის გულს-მოღი-

ნებით შეუდგა საჭართველოს ხალხის ისტორიის შესწავლას. მართლაც მისი მეცადინეობა არ დარჩა უყურადლებოდ. საჭართველოს შესახებ განსვენებულმა მარი ბროსემ ბევრი სტატიის სწერა ურან-ცუზულ და რუსულ გაზეთებს და ფურნალებში და განსაკუთრებით პარიჟის მ. რიენტალისტი კურნალში და ბიულეტენში. თავ-და-პირველად მარი ბროსეს კიდევ დაცურნდენ მეროპიელთ ზოგიერთ ნაწილში და რომელიც ამბობდნენ: «რა წვალობს საწყალიო, საჭართველო რა არის და შათი ლიტერატურა რა იქნებათ». მაგრამ ბროსემ თავის არღებულ საგანს თავი არ დაანება სიკვდილამდე. განსვენებულს ბევრი უსიამოებება შეხვდა ზოგიერთ პირთაგან, რომელიც მართველების ხელებასაც კი უარისა ჰყოფდნენ. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან თვით ბროსეს სიტყვებს: «მახსოვეს ის დრო, ამბობს ბროსე, როდესაც ჩემი თანა-მემამულენი გიეს მემანდნენ და მირჩევდნენ, რომ საჭართველოს ისტორიის და მისი ხალხის ენის შესწავლა არა ლირიკო, მაგრამ ბოლოს კი დაუმტკიცე ამისთანა პირებს წინააღმდეგი». აქედამა სახს, როგორც ზემოთაც ვსთქვით, რომ განსვენებულ ბროსეს ბევრთან შეხვდებოდა ბრძოლა და ბასი საჭართველოს შესახებ, მაგრამ ის მაინც მტკიცეთ ადგა თავის აზრს. ბროსეს ლვაწლს მოჰყვა შესაფერი შედეგი და ის თვითონ მოესწრო, რომ ურანცუზებმა და სხვებმაც მიაქციეს საჭართველოს ჯეროვანი უურადლება. ურანცუზებს მიბაძეს ნებულმაც, რომლებიც დღეს ბევრსა სწერენ საჭართველოზე ნემეცურს ენაზე. მს ლეისტი ვარო, ის ბაროკ სუტნესი და ეხლა გამოჩნდა ბ. შვაიგერ ლერქენფელდის.

შარსულს წელში ბერლინის ერთ მხატვრობიან გაზეთში, სხვათა შორის, დაიბეჭდა ვრცელი აღწერა ძავკაზიისა და მის ხალხთა. ამ აღწერაში უპირატე სი ადგილი სომხებს და მართველებს უკავიათ. მს აღწერა ეკუთვნის ბ. შვაიგერ ლერქენფელდის. როგორც ამ აღწერას, ისე სხვა სტატიებს საჭართველოს შესახებ, რომლებიც ნემეცურ ენაზე იწერებიან, დიდ უურადლებას აქცევენ გერმანიაში ყველანი.

ბ. შვაიგერ ლერქენფელდის აღწერას დღეს სომხები სთარგმნიან თავიანთ გაზეთ «არძაგან ქში». მთარგმნელი მოგვითხრობს, რომ ჯერ იმ ადგილებს ვთარგმნითო, რომელიც ჩენ, სომხებს, შეგვეხებაო

და შემდეგ იმ ოდგილებსაც გადავთარგმნით, რომ-  
ლებიც მართველებს შეეხებათ. ჩემის აზრით აქ სომ-  
ხების დახმარება საჭირო არ არის. მადლობა ღმერთს,  
რომ ჩევნ დღეს ბევრი გვყვანაც ისეთი პირები, რო-  
შელნიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ  
და რომლებმაც კარგად იციან ახალი ენები. ამ  
ყმაწვილებს შეუძლიათ გადმოსთარგმნონ ამისთანა.  
წერილები. ჩემის აზრით ეს უფრო კარგი იქნება, ვინემ  
ურესინიეს, ბრისონის და ზრევის სიტყვები.

### ნეპრო ლო გ. ი.

რამდენიმე დღის ავათ-მყოფობის შემდეგ 14-ს  
ფეხერვალს გარდაიცაალა ს. პულაშში ყველასგან  
ჰატიოცემული პატიოსანი მოხუცი, მოძღვართ-მოძღ-  
ვარი, მღვდელი სპირიდონ მანდელაკი. თუმცა გან-  
სვენებული იყო ოთხმოცდა ერთი წლისა, მაგრამ  
უკანასკნელს სიკეთილის დღემდის ასრულებდა ყო-  
ველივე მღვდლის მოეალეობას მის შტატშიდ. შე-  
ჯედულებით არ ითიქრებდა კაცი, რომ ის ორმოცდა  
ათის წლის მეტი იქნება: თბაშიდ ჭალარა აქა-იქ ერია,  
კბილი ერთიც არ აკლდა, ეკულესიაზედ, რომელიც  
ვერს ნახევარით არის მოშორებული მის სახლზედ,  
ფეხით დაგარებოდა და მუდამ შრომაშიდ ატარებდა  
დროს. მრაველ წინანდელმა საქართველოს ექსარხმა  
იმანიკემ, რომელიც საშ გზის ყოფილა განსვენებუ-  
ლის ოჯახშიდ, ჰკითხა მას: «მირჩიე, როგორ ვიცხოვ-  
რო, რომ შენსავით მხნეთ მაგდენს ხანს ვიცოც-  
ლო». —

— «დღეში ოთხი ან ხუთი საათი იძინე და და-  
ნარჩენი დრო ილოცე და იმუშავე, როგორც მეო»,  
უპასუხა მან. მართლა, ტყუილათ განერებულს  
ძეირად ნახავდა იმას კაცი. ვისაც უნახავს ქულაშის  
ჯერუმის ეკულესიაზედ ერთს საფლავის ქვაზედ  
შისგან მოჭრილი მხატვრობა და ზედ წარწერილი,  
ან ვისაც გაუვლია მის ეზო-გარემოშიდ და დაკვირვე-  
ბია მის ნაკეთებს — ის ადვილად დარწმუნდება, რომ  
განსვენებული იყო ძრიელ ნიკიერი და მშრომელი  
კაცი, მასთან მეტის-მეტი ბეჯითი ყოველს საქმეშიდ.  
შელს ზაფხულშიდ მას განუზრახავს ორბელიანის ლექ-  
სიკონის ხელით გალაწერა. როდესაც მის შეილის-  
შვილს შეუნიშნავს მისთვის, რომ ეს წიგნიახლა დაბეჭ-

დილია და მისი ფასი ოთხი მანეთია და ამიტომ არ  
ლის შრომათაო, მას უპასუხნია: «მე, რადგანაც ახა-  
ლის დაწერა არაფრის შემიძლია, შეურს მაინც ეს  
ჩემი ხელთ-ნაწერი დაუტოვო ჩემს შეილებს სამახ-  
სოეროდა. დაიწყო წერა და ორი თვის განმავლო-  
ბაშიდ შესარულა კიდეცო. სხვა ჯილდოებს შორის  
განსვენებულს ჰქონდა: მღადიმირი მესამე ხარისხისა  
და სადეკანოზო გულის ჯვარი, რომელიც უბოძა მას  
მიტროპოლიტმა იმანნიკემ და წერილიც მო-  
წერა, რომლითაც წინ-და-წინ შეატყობინა,  
ჯვარი მოგივა ჩემგანო და აცხადებდა სურ-  
ვილს, იმდენხანს ეცოცხლა განსვენებულს, რომ მეორე  
უკეთესი ჯილდოც ებოძოს მისთვის. მაგრამ საუკე-  
თესო ჯილდოთ განსვენებული სთვლიდა ორი სა-  
ქართველოს ექსარხოსის სურათებს: იმანნიკეს და  
პავლესას, რომელთაც უბოძეს განსვენებულს გა-  
თის ზედ წარწერით.

18 შებერვალს დიდ-ძალი საზოგადოება და-  
ესწრო მიცვალებულის გასვენებაზედ, როგორც  
თავადინი მიქელაძები, ისე გლეხებიც. შემდეგ წირ-  
ვის გამოსვლისა ყოველად სამღვდელომ ზაბრიელმა  
წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა მიცვალებულზედ.  
მან სთვეა, რომ მიცვალებულს ბეკრს სხვა ლირსე-  
ბასთან ერთი დიდი ღირსებაც ჰქონდაო: იგი იყო  
ნამდვილი ღეთის მოწიწი კაციო. მერმე განმარტა,  
რომ შიში ღვთისადმი ორ გვარია: ერთი გვე-  
შინია დასჯისო და მეორე ღმერთი გვიყვარს,  
გვერიდება მისი, და ვუღილობთ მისი საწყები არა  
ჩაეციდინოთ რაო და დააბოლოვა, რომ ყველა  
შრისტიანს უნდა ჰქონდეს მეორე გვარი შიში ღვთისაო.

დამსტრე.

### გამაღი-ისლამის დამარსებელი

და მისი სწავლის მიმდევართაგან მიუწენებული  
ტანჯვა-წვალებანი საქართველოს და სხვა მხარეთა  
ქრისტიანეთადმი.

(გაგრძელება \*).

ისლამი ანუ გამაღიანობა.

მაკმადის სარწმუნოება, წოდებული ისლამად,  
დამყარებულია პრაბთა ზეპირ-გადმოცემებზე და ჩვეუ-

\*) იხილე მწყემსი, № 23, 1885 წ.



ლებებზე. გარდა ამისა მასში შეტანილია ზოგიერთინ თქმულებანი უჩიათა და მრისტიანთა. არსებითის თვისის დედა ჰაზრით იყი მეტად მარტივია, მაგრამ სავალდებულო წესებით კი ფრიად როული. არსებითი დოლმატია ისლამისა: «ერთია ღმერთი და მაჲმადი მისი მოკაქული». სჯულის უმთავრესი ვალდებულებას შეადგენს დეთის ნების ოლსრულება, რომელზედაც დამტკიცებულია ყოველი კაცის ბედის წერა. შოველ მართლ-მორწმუნებს (მოსლემიანი) უნდა ეშინოდეს დეთის ემორჩილებოდეს და ჰაწმენდეს იყი. ამ უმთავრეს მოთხოვნილებასთან ერთად უნდა აღასრულოს: ტანთ-ბანვა, მარხვა, მოწყალების გაცემა და მგზავრობა მექქის თაყვანის-საცემლად.

პირის, ხელ-ფეხის და მთელი ტანის ბანვა არის პრაბთა ძველი ჩევეულება, წარმომდგარი თეთი ადგილობრივი მოთხოვნილებისაგან. წყლის უქონლობისა გამო, რომელიც ხშირი მოვლენაა პრაბეთის უდაბნოებში, მართლ-მორწმუნებს შეუძლიან წესი ტან-ბანვისა შესარულოს ქვიშითაც. პირ-მიწურული ქაჲბისაკენ მან უნდა ყოველ დღე ილოცოს ხუთჯერ. ამ ნაირად ლოცვას ჰქიან შიბლაზედ ლოცვა. სულის განსაწმენდად და ხორცის დასამორჩილებლად— როგორც სიმტკიცე ღვთის და წინასწარ-მეტყველის მორჩილებისა— წელიწადში უნდა იმარხოს 30 დღე—

თვეე რამაზანისა. მარხვის დროს მთელი დღის განმავლობაში არ უნდა მიეკარონ საჭმელ სასმელისა, არ უნდა იბანონ, შეიმაგრონ გრძნობანი. მოწყალების გაცემა,— რასაც შეუძლიან დაახლოვება ღვთისაღმი, — ზედ-მიწენით განსაზღრულია: ყოველი მართლ-მორწმუნე უნდა აწვდიდეს ღარიბთა მეათე ნაწილს თვისის შემოსავლისას. თუ კი რამე ტყუილი სთქვა და ქურდობა ჩაიღინა, მაშინ სამოწყალოდ უნდა გასცეს შეხუთედი ნაწილი თვისი ქონების. მექქის თაყვანის-საცემლად ყოველი მორწმუნე თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა გაემგზავროს. თუ კი ამს ვერ შეიძლებს, წელიწადის უკანასკნელი თვის მდათე დღეს, როდესაც შეიწირება ხოლმე უდიდესი შესაწირავი მექქაში, თავის სახლში უნდა იხმაროს და გასცეს მოწყალება. მრავალ ცოლიანობა ისლამით არ არის აღკრძალული, მაგირ აღკრძალულია ღვინო. შრისტიანთა და ურიათაგან გასარჩევად მეჩეთში სალოცავ დღედ დანიშნულია პარასკევი. ამ დღეს მართლ-მორწმუნეთ უნდა დასტოვონ ყოველ ნაირი თვისი საჭმენი, შეერთებენ მეჩეთებში სალოცავად. ხალხს მოიხმა-

ბენ ხოლმე შემდევი სიტყვებით: «დიდია ღმერთი! ვამტკიცებ, რომ არ არს ღმერთი, გარდა ერთის ღმერთისა! ვამტკიცებ, რომ მაჲმადი ვამოგზაენილია ღვთისაგან!» ამ ბაითურ მოწოდებას, ზარების რეკის მაგირ წარმოსთქვამენ ხოლმე მაღალის კოშკებილა— მინარეთებიდამ.

ისლამში მეორე მოსლეაზედაც არის სწავლა. იგი წინასწარ-მეტყველებს აღდგომას მკედრეთით, უკანასკნელისა მსჯავრისა, რომელიც განგრძელდება 50,000 წელიწადი. შველას მიენიჭება ღირსეული მისის მოქმედებისთვის— სასჯელი ანუ ჯილდო. ღვთის-ნიერნი ელიტებიან სამოთხესა, საცა იცხოვ-რებენ გურიებთან (ქალ-წულებთან), უღვეთონი დაისჯებიან სასჯელითა ჯოჯოხეთისათა.

ამ ნაირად თუმცა მაჲმაზის სწავლამ მცირეოდენი სარეცხლობა მოიტანა იმით, რომ წარმართნი მოაქცია ღვთისადმი, მაგრამ მისმა სწავლამ ვნებაც დიდი მოიტანა. მაგ. იგი ჰქადავებს გარყვნილებასა, ჰფარგლავს სულის თავისუფლებასა, უფრო ავრცელებს ცრუ მორწმუნეობასა, აღკრძალავს ყორანის განმარტებასა, ამტკიცებს, რომ ქაჲბის ერთ ხილვას უფრო მეტი სარგებლობა მოაქცის კაცისათვის, მინაშ მთელის წლის სინაწელისა და სხვ.

## ს ა ლ ი ფ ა ნ ი.

შემდეგ მაჲმადისა პრაბეთის მმართველებს და ერქოთ ხალიფანი (მოადგილენი) ანუ მმირ-ალ-მუჟუნინი მართლ-მორწმუნეთა. მათთვის არაფერი კანონი არა სუფედა. თუმცა ყორანით უნდა ეხელ-მძღვანელათ, მაგრამ იმასაც ისე ხსნიდნენ, როგორც სასარგებლო იქნებოდა მათთვის. იგინი აღჭურვილი იყენენ ხელმწიფეთა და მღვდელთა უფლებით. ლაშქარში არ მიღიოდენ. თვის მაგირ საომრად ჰეზავნილენ სარდლებას. თვის უმთავრეს დანიშნულებად ჰედილენ: სატახტო ქალაქის მეჩითებში ლოცვას, ქადაგებას, შეჩერებისა და კურთხევის წარმოთქმას და ჯარის სარდალთათვის განკარგულების მიცემას. პირველად იგინი უბრალოდ და საქემურად სცხოვრებდენ მედინაში, მემრე მდიდრულად და გარყვნილად დამსკუში, რომელსაც მაშინ დაერქოეცენიური სამოთხე და ბოლოს სცხოვრობდენ ბალდადში, საცა აღაყვავეს ხელოუნება და მეცნიერება.

## ს ა ლ ი ფ ა ა გ უ - ბ ე მ ჩ რ ი.

აბუ-ბექრმა დაიშახურა ხალხის სიყვარული თვისის პატიოსნებით, სიკეთით და მართლ-მსაჯულე-

ბით. მან არაბეთში დამკვიდრა მშეიღლობინობა და მაჭვალის დარიგებისა შეშრ დაიწყო შეექცების დამორჩილება. მის მხედრობაში გაიმარჯვეა სპარსეთში, სირიაში. დამასკის აილო 634 წელს.

როდესაც თვის სარდალს ეზიდოს ჰებავნიდა სირიის დასაპყრობად, აბუ-ბექრმა ასრე დაარიგა: «არ დაფურიშვდეს, რომ შენ ყველგან ლეთის განკურგულებაში ხარ. შოევლთვის თავ-მდაბლად მოეპყარ ჯარის კაცა, სათათბიროდ მიიწვიე ხოლმე შენი ძმანი და ყოველთვის სამართლიანად მოიქცი. როდესაც შეხვდები მტერსა, იყავ გულოვან და ნურას დროს მტერს ზურგს ნუ შეუქცევ. როდესაც გამარჯვებ, ნუ დახოცამ მოხუცებულებსა, დედა-კაცებსა და ყმაწვილებსა. ბზის ხეებს ნუ გადასჭრი და ყანას ნუ გადასწვა. ნუ გაათუჭებ ხეხალებსა და საქონელს იმის მეტს ნუ დახოცავ, რაც საკმარისი იქნება შენი ჯარისათვის. საღმისთო იყოს ეს დარი-გება შენთვის. ნუ დახოცავ მღვდელთ-მსახურსა, რო-მელთაც შეიძყრობ წმიდა ადგილებში და ამ წმიდა ადგილებსაც ნუ გააოხრებ. როდესაც კი შეხვდები ეშმაკის მსახურ ხალხს და ქოჩის მარასავთა— ნუ შეიწყნარებ მათ, გაუპე მათ თავი, ჰკაფე ისინი იმ ღრომის, მინამ არ აღვარებენ ისლამსა და არ მოგცემენ ხარესა».

### მოსე ჯანაშვილი.

### ახალი ამბები და უაიზვები.

ამას წინეთ უწმიდესი სინოდისაგან აღმრული იყო კითხეა იმაზე, რომ ადგილობით ერობათაც უსაოუოდ მიეღოთ მონაწილეობა საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესანახავად საჭირო ხარჯში.

ბევრმა ერობამ გამოაცხადა თანამდებობა სა-ეკლესიო სკოლების გახსნის შესახებ, მაგრამ უარი განაცხადეს შემწეობა აღმოუჩინონ ამ სკოლებს. თავიანთ უარს ერობან (მაგ. ძაზანისა) სსწავან ასე: «უარი და უსამართლო იქნება მიეცეს შემწეობა იმ სკოლებს, რომლებზედაც ზედამხედველობა არ ექნებათ ერობათ». ამის შესახებ იძლევიან შემდევ შენიშვნას:

«ოდესის ნოვოსტკ»-ები ამის შესახებ იძლევიან შემდევ შენიშვნას:

«საეკლესიო სამრევლო სკოლები, უექვეულია, არსდებიან ხალხის განკოლებისათვის, და ამიტომ, რასაკვიდრელია, ისინი იმდენად სანატრელინი არიან, რამდენათაც ერობათა სკოლები,— განსაკუთრებით იქ, სადაც კიდევ არ არიან გახსნილნი უკანასკრელნი: განა ერთი და იგივე არ არის, რომელი წყარო. საგან წარმოსდგება განათლება, რომელიც განათლების გაუნათლებელი ხალხის გონიერი და აზრის? ამისთანა წყაროებად იქნებიან ერობათა ანუ საეკლესიო-სამრევლო სკოლები.— სულ ერთია. საქმე იმაშია, რომ ხალხის მოთხოვნილება განათლების შესახებ არ დარჩეს დაუკმაყოფილებელი.

\*\*

პრებაში, რომელიც მოსდა 22 ფებრვალს, შაბათს, საქართველოის საექსარხოსის 『ძმობის』 რჩევამ მოისმინა, სხვათა შორის, შემუშავებული წესდებანი საკითხები კაბინეთის დასასების შესახებ. კაბინეთი ასადება თბილისში მცხოვრებ უსწავლელ მართველთათვის, შერაძის და მის მარწმუნებლების წინადაღებით; შერაძე და მისი მარწმუნებლები, როგორც ვიცით, მიღებულ არიან 『ძმობის』 წევრთა რიცხვში; კაბინეთის დამართებული მიზღვევინ 『ძმობის』 მიზანს და ემორჩილებიან 『ძმობას』 ყოველის-ფერში შესახებ სარწმუნოებრივ-ზნეობით საქმისა. სარწმუნოებრივი საუბრები აღნიშნულ კაბინეტში მოხდებიან კვირაში ერთხელ და გაგრძელდებიან ერთი საათიდამ ორ საათამდის თითო ჯერ. ამასთანავე დაწყება ამ საუბართა მოხდება მ. დეკანოზის ხელიძის მეთაურობით.

\*\*

კირის, 23 ფებრვალს, ყველიერის კეირაში, მაღალ ყოვლად უსამღელელოց აბამპავლემ, საქართველოს ექსარხოსმა სინოდალნი კანტორის წევრთა და ქალაქის სხვა სამღელელოებათა თანადასწრებით შესრულდა სიონის სკრებული (სობრივში) მწერების დოცება. ტრცელი, ტველი ისტორიული ტაძარი საქართველოსა არ იტევდა ამ ღროს ყველა მღლაცელებს, რომელიც მოვიდენ ამ ძევლი წმიდა ადგილის თავივანის საცემლად და შენდობის მისაღებად თავის მწყემსთ-მთავრისაგან ამ დღეს, როცა დანიშნულია საყოველთაო შერიგება... საკვირველი მოძრაობა იყო ეკკლესიაში მღლაცელებით შორის, რომელიც მიღიღებინ საკურთხევლის კარებთან, იღებდნენ ლოცვა-კურთხევეს მაღალ-ყოვლად უსამღელელო-

სობისაგან დაბრუნდებოდნენ უკან. შედა გენახათ, თუ რა ლონის ძიებას ხმარობლენ მლოცველები, რომ მიეღოთ შენდობა მაღალ ყოვლად უსამღედლოესობისაგან. დიდი ჯაფა სჭირდებოდა მაღალ ყოვლად უსამღედლოეს ექსარხოსაც, რომ მიეცა ამდენი ხალხისთვის ლოცვა-კურთხევა... დიდი ხანია ასრთი ბევრი მლოცველები არ გვინახავს ხიონის სობოროში, როგორც ამ დღეს.

\*\*

23 უებერვალს, კვირას, სემინარიის ეკკლესიაში, იყო მეშვიდე საწმუნოებრივ-ზენობითი კითხება. პითხულობდნენ: სემინარიის ინსპექტორი ი. ს. სტეპანოვი და მასწავლებელი პოტოცკი. პირველი ლაპარაკობდა შრისტიანეთა პირველ საუკუნეებში მოწამეობაზე და მეორე კითხულობდა ლოცვებს. საჭიროებაზე.

შეკრებილ მსმენელთ დაერიგათ წიგნაკები, რომლებშიაც აწერილი იყო წმ. მოციქული ჰაელესი და წმ. პირილე და მეფოდესი და ფურცლები წმიდა ტროიცულ-სერგიევის დავრისა. მაღალ ყოვლად უსამღედლოესი ექსარხოსი ამ კითხებზე არ დაწერებია, რადგან ამ დღეს საკრებულო სობოროში აღსრულებდა ღვთის მსახურებას.

\*\*

ამ ბოლოს დროს სომხებმა გადათარგმნეს პროფესორის პატკანოვის სტატია: «მართული ქრისტიანიკა, რომელიც დაბეჭდილი იყო 1883 წ რუსეთის განათლების სამინისტროს კურნალში. ამ სტატიაში ბ. ავტორისაგან უარ-ყოფილია მართველების ისტორიული მწერლობა. დღეს ეს სტატიიები სომხურის გაზეთ «არაგანში» იძექდებიან. ბ. პატკანოვის შესაფერი პასუხი მისუა ყველასაგან პატივურებულმა დიმიტრი ბაქრაძემ და, იმედია, ამ პასუხსაც გადაბეჭდენ სომხები იმავე გაზეთში.

\*\*

ბ. ლეისტი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, ამ ორი წლის წინათ შეუდგა მართული ენის შესწავლას და ორი-სამი სტატია დაბეჭდა ნემეცურს და პოლშურს ენებზე, დღეს ეს პირი შესდგომია სომხური ენის შესწავლას. ბ. ლეისტი ქ. თბილისში სკოლებს და სომხებს დასდევს უკან და სომხების მოწინავე პირებთან აქვს კავშირი. მართველებს კი ამ ბატონმა ძეირათ დაუჯინა ორი-სამი სტატიის

დაწერა და ეხლა ვნახოთ, თუ რას გაუკეთებს სომხებს. რამდენი სადილები გაუკეთეს ჩევნმა შართველებმა ბ. ლეისტს ქ. თბილისის სხვა-და-სხვა ბალებში. შეიძლება მას ჩევნმა პურ-მარილმა თავი მოაბეჭრა და ეს ა სომხების მასპინძლობა მოსწონდეს.

\*\*

ვისწრაფით ვახარით ჩევნ მკითხველებს და განსაკუთრებით სამეცნიელოს ეპარქიის სამლელელოებას ფრიად სასიამოენ ამბავი: საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის წევრი, პატივურებული არქიმან დრიტი ბრიგორი (დადიანი) დაუნი მნაქსთ მინგრელის და გურიის ეპარქიის ეპისკოპოსად. ამ დანიშნას მოუთმენელად მოელოდნენ თითქმის ყველა წოდების პირი და კიდეც აღსრულდა.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნო ნოებასა და გეთილ-ზნეობაზე.

ხარება უკვლებ ფეილის ღვთისა-მართისა.

მოვიდა დრო, როდესაც განგებისა-მებრ უფლისა უნდა განხორციელებულიყო ეს ღვთისა. იშვა არსება, რომელიც იქმნა ლისი ეტვირთა ეს საიდუმლო. მს იყო ყოვლად წმიდა და ყოვლად კურთხეული ქალწული მარიამი.

წმიდა ქალწულის შშობლები იყვნენ იუსტის და ანნა. მალწული ჯერ სამია წლის ყმაწვილი იყო, როდესაც დედ-მამამ მიიყვანა იერუსალიმის ტაძარში. ის თავის სრულ წლოვანებამდის სკოცრობდა აქ და ატარებდა დროს დაუცხრომელ ლოცვა-კურთხებაში, სალმრთო-წერილის კითხვაში, ხელ-საქმეში, კეთილ და წმიდა ცხოვრებაში ქალწული სრული წლოვანი შეიქმნა. მღვდელთ-მთხვერმა და მღვდელებმა მისცეს იმას წესისა-მებრ წინადაღება დეეტოლებინა ტაძარი და გათხოვებულიყო. წმიდამ გამოუცხადა იმათ, რომ აღთქმა აქვს ღვთისათვის მიცემული სამუდამოდ ქალწულად დარჩეს. თაძრის მსახურნი ძრიელ გაკვირვეა ამ ამბავმა. რადგან მაინც აღარ შეიძლებოდა დაერჩინათ ის ტაძარში და საჭირო იყო გეეჩინათ იმისთვის შემნახველი, ამისთვის დანიშნეს ის ოთხმოცის წლის

მოხუც იოსებზედ, რომელიც, როგორც ღვთისმშო ბელიც. დაით მეფის ჩამომავლობისაგან იყო. იოსებს ჩაპარეს მარიამი, რომ ის ყოფილიყო მფარველი და მცველი იმის ქალწულობისა. უკვლად წმიდამ ამ გვარად დაანებათავი იერუსალიმის ტაძარს და დაბინავდა იოსების სახლში, ქალაქ ნაზარეთში.

აქ, ნაზარეთში, მოეკლინა ქალწულ მარიამს მთავარ-ანგელოზი ზაბრ-ელი და ახარა განხორციელება იმისგან სიტყვისა ღვთისა. ზეპირ-განმოცემა მოგვითხრობს: ყოვლად წმიდა საღრმოთ წერილს კითხულობდა; ის ღრმად ჩაფიქრეს მაარა წინასწარმეტყველის სიტყვებმა: „აჲ, ქალწულმა მუცულად იღოს და შეას ძე და უწოდონ სახელი მისი მმარტილი, რომელ ას—ჩერიქანა ღმერთი (ესა. 7, 14)». ქალწულმა იცოდა წინასწარმეტყველებიდამ, რომ მოწეულ იყო დრო მაცხოვრის ქვეყანაზედ მოსვლისა, იმას ცწამდა, რომ ღირსი ქალწული, რომელზედაც მაარა წინასწარმეტყველებდა, კიდეც იქ დაბადებული და გულ მხურვალედ ეველებოდა ღმერთი ეღირსებინა იმასთვის იმ ქალწულის ნახვა და იმის უკანასკნელ მხედვლად ყოფნას ნატრიულობდა. ამ ღრის გამოცემადა იმას მთავარ-ანგელოზი ზაბრიელი და უთხა: «გიხაროდენ, მიმაღლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის (ლუკ. 1, 28)». ანგელოზის გამოცხადებამ არ შეაკრთო წმიდა ქალწული: ტაძარში ცხოვების დროს ის შეჩვეული იყო შულისაგან მოვლენილის ანგელოსების ხილვას, მაგრამ იმისმა სიტყვებმა კი ძრიელ შეაფიქრეს ის. ანგელოზი მიხვდა ამას და განაგრძო: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰელვე ზადლი წინა. შე ღვთისა და აჲ ესერა შენ მუცულად იღო და ჰელვე და დაუწოდე სახელი მისი იესო, ეს იყოს ღიდ და ძე მაღლისა ეწოდოს და მისცეს მას ღმერთმან საყდარი დაეითის მამისა თვისისა და მეუფებდეს სახლსა ზედა იკავბისა საუკუნოდ და სუვერისა მისისა არა იყოს დასასრულ (ლუკ. 1, 30—33)“. უკვლად წმიდამ გაიკო ანგელოზის სიტყვების ჰაზრი, მოიფიქრა თავის მდგომარეობა, თავის აღთქმა და მიუგო: „ვითარმე იყოს ეს ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არ ვალი (ლუკ. 1, 34)?“. მთავარანგელოზმა აუქსინა იმას და ამცნ: სული წმიდა მოვიდეს შენზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ, ამისთვისცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლისა (ლუკ. 1, 35), და რომ უფრო დეერწმუნებინა ქალწული ამაში, მოუყვანა მაგალითიც, რომლიდანაც სჩანდა იგივე ძალა ღვთისა: „და აჲ მლისაბედ ნათესავი შენი, შეიცავი მარადის ქალწულის განვებას და თქვა: ;, აჲ მხევალი ღვთისა, მეყან მე სიტყვისაებრ შენისა , (ლ. 1, 38). ამ სიტყვებმა მოსდრიკეს ცა, გადმოავლინეს ქვეყნად დაუსაბამო სიტყვა ღვთისა, ანგელოზი წავიდა ქალწულისაგან. მე მოხდა განხორციელება ძისა ღვთისა. ამ გვარად შეიქმნა ქალწული დედად ღვთისა და დარჩა ისევ მარადის ქალწულად.

სეკვლესიო საგალობლები განმარტვენ საღმრთო მოთხოვნას ღვთის მშობლის ხარებაზედ და ამ გვარად დაგვისახვენ ქალწულის საუბრის მთავარ ანგელოზთან:

**ანგელოზი.** სიხარულით გიღაღადებ, ყოვლად წმიდაო ქალწულო: შენ მთიპოვე წინაშე ღვთისა მაღლი, რომელი დედათა შორის არ მოუპოვებია ჩავას: მევარ იშვების ღმერთი ჰეშმარიტი.

**ღვთისმშობელი.** ანგელოზო მსურს გავიგო შენი სიტყვების ძალი; მითხარ ნათლად: როგორ სრულდება შენი ნათქეამი? როგორ ვაღებ მუცულად მე ქალწული უცოდებელისა არაჩეულებრივიც აღსრულებულ რქმნება.

**ანგელოზი.** შოღლად წმიდაო! ჩემ სიტყვებს რ ერწმუნები! მიხარიან, ეხედავ რა სიღრთხილებასა შენსა. სარწმუნო იყავ, დედოფალო, სურვილისამებრ ღვთისა ყოვლად შემძლებელისა არაჩეულებრივიც აღსრულებულ რქმნება.

**ღვთისმშობელი.** მოისპონ მთავრობა ტომისაკან იუდაი, დადგა დრო, როდესაც უნდა მოვიდეს მოლოდინი ხალხთა—ქრისტე: განმიმარტე, როგორ შეიძლება ეშვა მე ის, როდესაც მე ქალწული ვარ.

**ანგელოზი.** ჩ ქალწულო! შენ გესურს გაიგო როგორ იღებ მუცულად? ეს საიდუმლოა განუცდელი, ამას მოიქმედებს სული წმიდა, მთავლენს რა შენზედ ძალა შემოქმედისასა.

**ღვთისმშობელი.** მევარ შეიწყნარა ჩაგონება გველისა და მოაკლდა ღვთაებურ ნეტარებასა: მეშინიან მეც დაცემისა, ეიშიშვი საკირველისა ხარებისაგან შენისა.

**ანგელოზი.** ანგელოზი მდგომარე წინაშე წარმოგზავნილვარ გახარო, ნება მისი. რად ჰკროები ჩემგან, ყოვლად წმიდაო, როდესაც მე უმე-

ტესად გეკრძალები? რად გეშინიან ჩემი, დედოფალო, როდესაც თითოი მე მოწიწებით ვიშიშვი შენგან? ფიცისმშობელი. მრავალჯერ მომხდარა სასწაული ძალითა ღვთისათა, მაგრამ ქალწულს უმამაკაცოდ არაოდეს უშობია!

### ცოცის ზამობა.

ზასტერის უკანსენელმა გამოვლევამ ისეთი დღიდა ამხევი მთავდინის მთელ ეპილეპსიში, რომ საფრანგეთის ამ შესასიშნავ სწავლულთან ამერიკიდამ აგზენიან ცოფით ავათ-მუტოვებს მთხვეწენად. ეს კი, რომ ზასტერისაგან მონახული ცოფის აცრის საშუალებანი კერეთი ისე კერ გავრცელდება უკელვან, რომ ამ ახალი გამოვლევის წელით შეძლოთ ისრგებლონ ქალებიდამ და შერებულის სოფლების მცხოვრებლებს. ამის თქმა თამაბად შეგვიძლია, მით უმეტეს, რომ რესეთის სახელ შეიტო ისე კრცელია, რომ ბეჭრ ადგილას არავთარი საქმირ საშუალება არ მოიპოვება და რაც შეებარ ცოფით ავათ-მუტოვების, ეს კი ხშირი შემთხვევაა ჩვენში. 1881 წლის საექიმო დეპარტამენტის ანგარიშში მარტო შვიდ გუბერნაციი ნაჩვენებია 83 შემთხვევა ცოფით ავათ გახდომისა. მაგრამ კიდევ რამდენი შემთხვევა იქნებოდა, რომელიც არ მაიღწევდა საექიმო რჩევის ურადვებამდის. ცოფით კრცელდება სოფლებში არა მხოლოდ ცოფინი ძალების დაგძენით, არამედ ცოფინი გვლებისაგანაც. ტულსკის გუბერნაციი, ჩერნისკის მარაში 1881 წელში იყო შემთხვევა, რომ ერთმა ცოფინმა მგელმა დაჭიბინა 25 კაცი გმხეს სხვა და სხვა სოფლებში. ერთი ამ დაქვენილთაგანი მაშინვე მოვკდა ქრისტიანებითაგან, სოდოთ თერთმეტი დაიხოცეს ცოფისაგნ და დანარჩენები მოჩქინ. ამ ფაქტისაგან ცხადათ სხას, თუ რა უკანასკნებით ადენტებენ თვალს ამ საშვალებათა, რომელიც მიმართულია არას ამ საზორელი სენის წინააღმდეგ. ზოგიერთ დაგიდებში ამ სენის წინააღმდეგ დაზი სანია სტარბეგ ზოგიერთ საშუალებას, მაგრამ ბეჭრს ადგილას კი არავთარი საშუალება არ იციან. რომ გაცოვინებული კაცი მოაჩინონ, ამიტომ უკელ იმ საშუალებათა გამოქვეყნება, რომელთაც სმირნები ზოგან ცოვის წინააღმდეგ, დაზ სარგებლობას მოატანს.

უკელზე უფრო სსარგებლო საშუალებით ამ სენის წინააღმდეგ, ერთი შექვევით, არის რდა (Euphorbia).

რძანის არის რძან მაგარი წევნი, რომელიც როგორც გაცემისა კაცს კნიცე, გააჩენს მსხვე მურამებს და თუ ამ აძეს დაღვევთ, მაშინ გამოიწევეს ძრილ იყალთათს და პირის ღებას. რძანის მცნარის უკედა ნაწილებს აქვთ ამ გვარი მალა. აქ შეიძლება დავასასქლით სხვად-სხვა გვარით რძანის: *Euphorbia lathyris* (რძანის გზის პირისა), *E. peplus*, *E. officinarum* (რძანის აფეთქებისა). ცოფის წმდლაბის კრცელ აღწერში, რომელიც დაბაჟდოდია «რესკონტენი» 1880 წელში № 10 ნარჩენის მეორე. სა მარტინ გულ-და-გულად იხმარება ამ მცნარის ძირი, რომელიც უნდა გადამტკიცოს ვარების განვითარებას, რეციფ პარამოვად და შეანას შექმაში. ამ გვარი პარამოვი მშედვები არ გვარი. ერთი უფრო წმინდა და ისმარება კაცებისთვის, მეორე უფრო მომსხვილო საჭანელისათვის და ძაღლებისთვის. პარამოვი იხმარება შემდეგი სასით: ჰირველად ცოფით აკათ-მეორეს უნდა მიეცეს პარამოვის ცოტოსადგნი რეუმპის ნახევარ ღენი გვარის ასე მარტ შეუკულ წელში. შერეული, თუმც პირები მიღების შემდეგ, ერთი დღის განმავლობაში. ავათ-მუტოვს დრო გამოსულით ცოტათ შეაციფა და სიცხე მისცა, ამასთას გრძნობას საზოგადო ისესტეს. გვალის რეგას ანუ პარის საქმეებს ანუ გააგვინს გარეთ და მასთას მისცემს ძირი თევზს, ეს მისი ნიშანია. რომ წამლა იმოქმედა. რადესაც ავათ-მუტოვს გამოაჩინება ცოფის ნაშები ისე. რომ წელში გასწინდებ პარამოვის მიღება აკათ მეორეს არ შეუძლია, მაშინ პარამოვის ცოტა თევნი ნაწილი უნდა გამოახვიოს პარამოვის შერისაგან გაკეთებულ აბებში. იმგერი არა უნდა გააგეთო სამი ას რთხი, თუმც ამ ასებმა პირებები მიღების შემდეგ არ იმოქმედეს, ამ გვარიდან გაიმპერი მეორეკელაც კეცის სიათის შემდეგ, ხელო მეორე დღეს მშირს უნდა მიღებით მესამე დღესაც წელით რომელშიაც გამოიხარება ამ მცნარის ძირი. რომლისგან მომზადდა აგრეთვე თვით პარამოვიც. რადგან ცოფი, დაკინის შემდეგ, გამოსანდება კაცს მეცხრე დღეს ანუ რამდენიმე კვირის და თვეების შემდეგ, ამიტომ უსათუოდ პირველ ასალ მოვარეს (პირველი წამლის შემდების შემდეგ გამოანგარიშებით) უნდა მისცე დაკინილს ერთი მიღება ამ წამლისა, და მაშინ აღარათერი შიში არ უნდა ჭირნდეს გაცს ცოფის გამოჩენისა. კო-გვალ შემთხვევაში რძანისა ნამდგილ შეწეობას აძლე კდა ავათ-მუტოვს.

2) კაზეთ «სოკეტებისატ»-ში მოუვანილი იყო ერთი შემთხვევა ვიტებსკის, ეზარქიის მზვდლის ნიკოლოზის

შიშკოვიჩისაგან. ამ მდგრადის ათი წლის გაუი, რომელიც დაკბინა გაცოფიანებულმა ძაღლმა, გინიურნა მაისის ბუზანკალის წყალბით (ამ ბუზანკალს ჩვენში სოჭის ექახიან) ვიღაც კაბინსკი სოფელ განტებრიუნში, კურლიანდია ში, სადაც აკთ-მეოთი იურ გაგზავნილი მოსახიერნად, ამზადებდა მაისის ბუზანკალისაგან ერთ გრარ საშუალებას: ისამ ბუზებს მოსკონდა თაეპს დ მაშინათვე ჩაუშებდა ახალ თაფლში; ბუზები თავის ტანდენს უშეკვებდენ წევნს, რომელიც, უკრთხებოდა რა თაფლს, ისმარებოდნა მდგრად საშუალებათ ცოფის წინააღმდეგ. როცა თურმე ავათ-მეოთ უმაწვდომ მისცეს შირველად ეს წმიალი, ის, შემდეგ დიდი წვალებისა, ჩავარდა დორმა მიღმი დ მეტის მეტი როგორ მისცა ავათ-მეოთს. მიღმის შემდეგ უმაწვდო ადგი მარჯვებდ დ სრულებით მორჩა. მეტად საუკანადებოა, რომ ამ გვარიგე საშუალება იხმარება ბევრს ადგილს.

3) კალკ ურჩევენ მცენარე ღროკს (*genista tinctoria*). ამ მცენარის ტანს და უკავილებს დიდის ხნიდგან ხმაბის უბრალო ხალხი მოღოროსიაში. როცა გაცოფიანებული შირულუკებისაგან იქმნება კინებულებით დ ამ უკანასკნელ ღროკს ექიმებიც ურჩევენ ღროკის ჰარაშოებს დ მის ნადუებს ცოფის წინააღმდეგ. ღროკი არის ჰარარა ჩიუგასი მცენარე (1—2 ფ.). რომელიც იზრდება სამხრეთ რესერვში, განსაკუთრებით მაღლოროსიაში დ ცხელ ადგილებში; მისი სწორი ტოტები თთობის მიწაზე არაან გამლილი, ხოლო ფოთლები აქვს ვიწრო დ მწანე ფერისა; მშეკრიცი უკითელი უკავილები გამოუბის მცენარეს ბეტქათ ტოტების ბოლოს. ღროკს როგორც ცოფის წამალს შეკრებენ ხოლმე, როცა ის ჟეგავის, შემდეგ მას გაახმიან, აქცევენ ჰარაშოებ უკელა მის წვრილ ტოტებს ფოთლებით დ უკავილებით. ჰარაშოებს აძლევენ ავათ-მეოთს წალში, ჩამი, პურში, ღვინოში ანუ სხვა რამებში შერევულს.—მაგრამ მარილიან რამეში შერევულს კი არა ღროს, სამა დღის განმავლობაში, დღილით უზმათ, ერთ სტოლის კოკზეს. ცხრა დღის შემდეგ მეოთხედ ძლევებს წამალს. ბავშებისთვის უფრო ნაკლებ უომას ხმარები, გინებ დიდებისათვის.

4) ნიორიც კა კა საშუალება გამოდგა ცოფის წინააღმდეგ. უკე 1859 წელში პეტერბურგის გაზეთ «საუკელთა დისტრიქტი» იურ აღწერილი შემდეგი შემთხვევა: ერთი გასათხოვანი ქადა, რომელიც ცოფით იურ ავათ, შევიდა თურმე სახლის ჩარდაშში, სადაც ბლო-

მად იურ შენასული ნიორი, დ ამ ნიორში დაემინა მაღალების ქალი მთლათ განიგურნა. ამის შემდეგ ნიორით არჩენდენ სხვებსაც, რომელიც დაგდენილი იყვნენ ცოფიანი შირულუკებისაგნ, აძლევდნენ საქმელად რაც შეიძლებოდა ბევრს მოუტევდებდედ ნიორს; ძალების სიორის თავს დასკრიან თხლათ დ შესდებენ ბერის ვულში. ნიორის მიღების შემდეგ ცოფიანს ძალების დაწეულების შირიდგან დუნას; აგათ მუოფს ეძინება, რომლის დღოს მას ასდის ახმივარი შესანიშვი ის არის. რომ რამდენიმე წლების შემდეგ დ სახელდო 1881—82 წ., ნიორი, როგორც ცოფის წამალი, ნაჩვენები იურ ინგლისის ექიმის რეზეუსგან. (დასასრული შემდეგ №-ში).

## განცხადება.

გამოვიდა საბეჭდავიდამ ახლად შედგენილი მართულს ენაზე საქართველოს საეკლესიო ისტორია და ისყიდება: თბილისში: ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. მუთასში: ძმათა პილაძების წიგნის მაღაზიაში. ცვირილაში: ცვირილის ნათლისმცემლის ეკვლესიო საეკლესიო ნიერების აწყობში და „მუზემსის“ რედაქციაში. დ. ხოცუში: ფერეთლის წიგნის მაღაზიაში. ფასი უყდოთ — ც ხ ა შ ა უ რ ი. ზემოხსენებულ ადგილებშივე ისყიდებიან: ქართული ლოცვანი, გამოცემა მ. დ. ლამბაშიძისა. ფასი უყდო ეპვესი შაური და კარგი დიანი ცხრა შაური. მლელლებთათვის სახელმძღვანელო წიგნი საიდუმლოების შესრულების ღროს საჭირო. ფასი უყდოთ ეპვესი შაური, შეღებენილი მ. დ. ლამბაშიძისაგან. ახალი კარაბაღინი, შეღებენილი მისგანვე ყდიანი მანეთად. ახალი სასულილო კონცესიონი და მოვალეობისათვის დასაცავის შემთხვევაში არა გამოიყენება. — არა სასიამოვნო მოვლენა. — ბიოგრაფიული შენიშვნა. ნეკროლოგი. — მაკმადი-ისლამის დამაარსებელი. — ახალი ამბები და შენიშვნები. — ხარება. — ცოფიანის წამლიბა. — განცხადება.

უ ნ ა ა რ ს : მნელი ღრო დაგვიდგა და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ხალხში ზენბის ასამალლებლად.—ზეგდილის მაზრიდამ. — არა სასიამოვნო მოვლენა. — ბიოგრაფიული შენიშვნა. ნეკროლოგი. — მაკმადი-ისლამის დამაარსებელი. — ახალი ამბები და შენიშვნები. — ხარება. — ცოფიანის წამლიბა. — განცხადება.

Доз. цензурою Кутаисъ, 10 Марта 1886 г.

აკადემიურ-გამოცემელი მდ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწავლობელების ტედგინიძისა დ ფერაძის.